აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

ინკლუზიური ტურიზმის პროდუქტები და სერვისები

15.05.2023 - 15.05.2023

ტრენინგის შესახებ

ინკლუზიური ტურიზმის პროდუქტები და სერვისები

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“ იწვევს ქ. ბათუმში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტებისა და ტურისტული სააგენტობის წარმომადგენლებს, ასევე გიდებს ერთდღიან ტრენინგზე - „ინკლუზიური ტურისტული პროდუქტები და სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“.

ტრენინგს გაუძღვებიან ინკლუზიური ტურიზმის ცენტრის "პარსას" დამფუძნებელი და პრეზიდენტი თამარ მახარაშვილი; ინკლუზიური ტურიზმისა და მისაწვდომობის აუდიტის ტრენერი ნანა ჩართოლანი; უნივერსალური დიზაინის და მისაწვდომობის ტრენერი დავით ბაზაშვილი.

გაცნობებთ, რომ ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. ტრენინგს დაესწრება ის პირები, ვისაც დაუკავშირებიან.

განრიგი და ფორმატი

ტრენინგი ჩატარდება მიმდინარე წლის 15 მაისს 11:00 საათზე სასტუმრო "კოლიზეუმ ბათუმში", მის. ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის 16.

პროგრამა

ტრენინგის თემატიკა

- ინკლუზიური ტურიზმის დანერგვის სტრატეგიები, პოზიციონირება და მარკეტინგი;
- ინკლუზიური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შემუშავება - საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკა;
- ტურიზმის ღირებულების ჯაჭვის ყველა რგოლში ინკლუზიური ტურისტული პროდუქტებისა და მისაწვდომი სერვისების დანერგვა;
- ტურიზმის ინდუსტრიის საერთაშორისო ბაზარზე ინკლუზიური ტურისტული; პროდუქტებისა და სერვისების პოზიციონირება და პოპულარიზაცია;
- ინკლუზიური ტურისტული პროდუქტები და სერვისები - MICE ტურიზმი (საქმიანი შეხვედრები, ღონისძიებები, კონფერენციები, ფესტივალები და გამოფენები);
- ინკლუზიური ტურიზმის, უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების დაცვა;
- ინკლუზიური ტურისტული მარშრუტები და სერვისები ბუნებაში (დაცული ტერიტორიები, პარკები, ტურისტული ღირსშესანიშაობები, ტურისტული ადგილები და ობიექტები);
- საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა.